ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13240584**
თარიღი:**27/02/2024**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის №51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 54 - ე და 55 - ე პუნქტები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შემენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
54	ფურგონი IVECO OTOYOL, სახელმწიფო ნომრით QV-374-VQ, სატ. საშ. საიდენტიფიკაციო NMSA356100TB20077 , გამოშვების წელი 1999, ფერი თეთრი	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს	4,200 (ოთხი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
55	შავი ლითონის ჯართი, 2 დასახელების 2 ერთეული მატერიალური ფასეულობები (NPR 8 სპეციალიზირებული ISUZU და თვითმცლელი GAZ 53-14)	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს	2,571.25 (ორი ათას ხუთას სამოცდათერთმეტი და 25 თეთრი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	